წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | სამშაბათი ოქტომბრის 31 (13) 1917

# ჩვენი ქვეყანა

ხელის მოწერის ფასი:
თვიურად 3 მან.
ოთხი თვით 1 თუმანი.
ცალკე ნომერი 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ტრიქ. ... 1 მან.
უკანასკნელ გვერდზე ... 50 კაპ.
ქალაქ გარედან მოსაწერი განცხადება ... მიიღება
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა, ... ... არა
უგვიანეს ხაში გამომცემლობის ... საათ.
8 ს. 1 საათის შემდეგ 8 ს.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 163 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 163

გულ-მკვდარნი: პავლე სიმონის ძე, მატრონა ნიკოლოზის ასული გოგიაშვილები, დავით მიხეილის ძე შარაშენიძე, შალვა, თამარა, ტატიანა და ნიკოლოზ გოგიაშვილები, ალათი და გრიგოლ შარაშენიძეები, ელისაბედ და ივანე ძიძიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ: ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველი უსაყვარლესი შვილის, მეორესი დაუვიწყარი მეუღლის, მესამეთ საყვარელი დის, ხოლო დანარჩენთა საყვარელი ძმლის

ლიუდმილა (ლიუტა) გოგიაშვილის ასულის
შარაშენიძის

უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. ტრაპიზონში ამა თვის 22. გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 31 ოქტომბერს, დღით სამშაბათს, საკუთარი ბინიდან (ლევაშოვის ქ. სახლი № 76) საფიჩხიის საზოგადო სასაფლაოზე, ნაშუადღევის 4 საათზე. ცალკე ბარათები არ დაიბეჭდება.

მშობლები: ალექსანდრე და მაკრინე, დები: გვრიტი, ვალოგა, ქსენია და შურა, ძმა კუჭიკო, ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქუთ. ქართ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის დაუვიწყარის

აპოლონ ალექსანდრეს ძე ჭანტურიას

უდროოდ გარდაცვალებას 27 ოქტომბერს, უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს 2 ნოემბერს, დაკრძალვა მოხდება სოფ. ონტოფოში წმ. ბარბარეს ეკლესიის სასაფლაოზე საღამოს 4 საათზე.

## განცხადება.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის, თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში, თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

## ძმ. ყორღანაშვილების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სჯარის მიიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

# დათესეთ პური,
## დაზარდეთ ფრინველი
## და ოთხფეხი საქონელი,
## რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

## ქართველთა სამხედრო კავშირი
(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. ბუშკინის ქუჩა, ვიტუმინსკის სახლი

**ექიმი**
**გ. ი. გოქიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ... ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა ქოქოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ეროვნული ყრილობა.

დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო ყრილობამ სასწრაფოთ მოწვეულ კონფერენციაზე აუცილებელ საჭიროებად, აღიარა სრულიად საქართველოს ეროვნული კრების მოწვევა და მაშასადამე სავსებით გაიზიარა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის თბილისის კონფერენციის რეზოლუცია და თავის მხრივაც არ დაზოგავს ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა რაც შეიძლება დაჩქარდეს ქართველ პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკება და მათი შეთანხმება ეროვნულ ყრილობის მოწვევის კითხვაში.

ვინც მომენტს რეალ თვალთახედვით სინჯავს, მისთვის ეროვნულ ყრილობის საჭიროებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

დღეს კი ყველანი მხოლოთ რეალ თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

ვის შეუძლია, რომელი პარტია იკისრებს დღეს ქართული კითხვა გადაჭრას.

ამ ჟამათ აღძრულ საერთო ხალხოსნურ კითხვებს შესაფერი ავტორიტეტული პასუხი გასცეს.

ვერც ჯარის კითხვას, ვერც ავტონომიის საქმეს, ვერც მიწის კითხვას, ვერც ფინანსებს და ვერც პოლიტიკურ კითხვას ცალკე პარტია ვერ გადაჭრის.

მთელი ერის ხმა, სრულიად საქართველოს ხალხის ნების ყოფის გამჟღავნება აუცილებელი გახდა.

ეროვნული კრება წინამორბედი იქნება საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრებისა.

მდგომარეობა თვითონ გვიკარნახებს ჩვენი თავის პატრონობას.

მაგრამ როგორღა შევვიძლია თავის მოვლა, როდესაც არ გვაქვს საერთო პასუხის მგებელი იურიდიული ორგანო, რომელიც მთელი ერის ნების ყოფით და ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. გუშინ თუ გუშინ წინ, კითხვა აღიძრა შესახებ იმისა, თუ ვის და როგორ უნდა გარდაეცეს ის უამრავი ქონება, რომელიც ქართველ თავად-აზნაურობასა ჰქონდა მთელს ერს შესწიროს და არა რომელიმე კერძო ჯგუფს თუ პარტიას აი აქ აღმოჩნდა სავსებით, რომ ისეთ მომენტს, ყოველ საათს ერთი განვიცდით როდესაც ყოველ წუთს, მეორეზე უფრო მწვავე და მნიშვნელოვანი კითხვები მოაქვს, რომელსაც არა მარტო თეორიული პრინციპიული გარდაწყვეტა სჭირია, არამედ პრაქტიკულადაც დაუყონებლივ გადაჭრას ითხოვს.

ამათი მდგომარეობა და ამათზე ზრუნვა და პასუხის მგებლობა მხოლოდ ისეთ ხალხოსნურ ორგანოს, დაწესებულებას შეუძლია, როგორც არის სრულიად ქართველი ერის ნებისყოფის გამომხატველი **საქართველოს ეროვნული კრება.**

თავად-აზნაურობის ქონების მემკვიდრედ ყოფნა, მხოლოდ ჩვენს ეროვნულ კრებას შეუძლია.

ასეთი კითხვა ამ ქაოტიურ ყოფაში მრავალი გაჩნდება. და თუ კვლავ უსიტყოდ, მოუმზადებლათ შევხვდებით წამოჭრილ კითხვებს, მაშინ უთუოდ დავმარცხდებით და საქართველოს მომავალსაც შევსწირავთ.

ამის გამო ჩვენ ალტაცებით ვეგებებით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო ყრილობის რეზოლუციას და მოუწოდებთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოქმედებას ეროვნული კრების მოსაწვევათ.

ჩვენ დავრჩით მარტო მრისხანე სტიქიონის გულ ხელ დაკრეფით შემყურენი.

ვერ ვხედავთ სომხებმა ჩვენს დედა ქალაქში მოიწვიეს ეროვნული ყრილობა და იმდენად გაკადნიერდენ, რომ თავის თავი ამიერ კავკასიაში სახელმწიფოებრივ ერათ გამოაცხადეს. ჩვენ ჩვენს სამშობლოში მაინც შევსძლოთ ჩვენივე თავის პოლიტიკურ უფლებით აღჭურვა. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება.

ქართული ცხოვრების სალი მოთხოვნილება ეროვნულ კრების მოწვევას გვთხოვს.

დ.

## თვითმოქმედების ჰენ.

ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ 1783 წ. შევეფარენით, დღეს ირღვევა და ცალკე ნაწილებათ იყოფა.

წინათ ბუმბერაზი რუსეთი ძლიერათ იწოდებოდა, დღეს ეს აღარ არის, რუსეთი ახლა უსუსტესი სახელმწიფოა.

საქმე მარტო უძლურებაში არ არის.

რუსეთი ჩავარდა ანარქიის ალში, რუსეთს კატასტროფა მოელის მსოფლიო ომისგან, რუსეთი გალატაკებულია და როგორც სახელმწიფო ქაოტიურ წიაღში ჰქდება.

სალი ლოღიკა გვეუბნება, რომ ასეთ მომენტში ყოველმა ერმა თავის ბედზე იზრუნოს.

განა სხვანაირათ შეიძლება?

რომელი ერის შვილი იქნება, რომელსაც სწადდეს, რომ რუსეთის „ბოლშევიზმმა“ და ანარქიამ მისი სამშობლოც წალეკოს.

ამჟამათ უნდა ვიყვნეთ გულწრფელნი და სრულიად ვეზიაროთ ეროვნულ გრძნობას და ნებისყოფას.

საქართველოს რუსეთის ბოლშევიზმთან, მენშევიკებთან კადეტებთან ან ანარქიასთან საერთო რაფერი არ აქვს.

ორ მუჭა ხალხს არ შეგვიძლია რუსეთის ტრაღედიას, აღუეულობას შევეწიროთ.

ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ჩვენი წმინდა მოვალეობა.

ყოფნა არ ყოფნის და განკითხვის დღეებში მთელი ერის დაცვა, მისი სიცოცხლის უზრუნველყოფა მოგვეთხოვა.

როგორ მოვიქცეთ?

დღევანდელ რთულ საჭიროებაზე რომ პირდაპირი პასუხი გავსცეთ ერი სამშვიდობოს გავიყვანოთ, ამისათვის აუცილებელია მტკიცე ეროვნული ორგანიზაცია, ორგანიზაცია და კიდევ ორგანიზაცია.

ლამლუპველი იქნება პარტიულ-კლასობრივ ბრძოლის განგრძობა.

კრიზისიდან თავის დახწევა და მთელი საქართველოს საზოგადოებრივ და პოლი-

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის

# სია № 8

### რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

ტიკურ მიმდინარეობათა შეთანხმება ეროვნულ კოალიციის შექმნაში.

აღარ არის დრო ერთმანეთის განქიქებისა და პარტიულად აღგზნებისა.

სისწორით, სინამდვილით განვსაჯოთ აწმყო და ახლო მომავალი.

ქართულ ცხოვრებაში ბევრნაირი კრიზისია გაჩენილი.

ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევს ეკონომიური ცხოვრების პერსპექტივები.

პოლიტიკური უფლებების მოპოება საქართველოსთვის მარტივი და ამასთანავე უპირველესი კითხვაა: იგი უსათუოდ დამკვიდრდება.

უფრო რთულია ეკონომიური პერსპექტივა.

სიმშილის ნიშნები უკვე ემჩნევა ჩვენს ქვეყანას.

დასავლეთ-საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასწრაფოთ მოწვეულ კონფერენციაზე ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ საქართველო დღემდის ეწეოდა კულტურულ მეურნეობას როგორიც არის მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, და მებამბეობა. ამისა და სხვათა მიზეზების გამო დღეს პური ცოტა არის საქართველოში და საქართველოს მოწყვეტა სიმშილს გაამძინვარებს, რისთვისაც აუცილებელია ჩვენი ხალხი დაუყონებლივ შეუდგეს გაორკეცებულ შრომას, ხვნა-თესვა—ფრინველების და შინაურ ცხოველების მოშენებას.

ჩვენც აქეთკენ მოუწოდებთ სრულიად ქართველ ხალხს—თვით მოქმედება, თვითმოქმედება და მხოლოდ თვითმოქმედება.

გარდა ამისა კონფერენციაზე ერთი ორატორი შეეხო იმ კითხვას, თუ რა მოელის საქართველოს ომის გათავების მერე.

რუსეთს აქვს 70 მილიარდი ვალი, ეს ვალი უფრო გაიზრდება. ომის დასრულების შემდეგ ჩვენ ქართველები თუ იმ მდგომარეობაში დავრჩით, როგორშიც ახლა ვართ, მაშინ დიდი ეკონომიური განსაცდელი მოელის საქართველოს.

70 მილიარდი ვალის მარტო სარგებლის გადახდა ქართველებისთვის წლიურად უდრის 70 მილიონ მანეთს. აქედან თითოეულ სულზე მოდის 50—60 მან. ცხადია რა მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს ღარიბ გლეხობას გადასახადი, მით უმეტეს, რომ მომავალში ფულის შოვნა ერთობ გაძნელდება. როგორ უნდა დავიხსნათ თავი? ამაზე პასუხს გვაძლევს თვითონ მომხსენებელი. 1783 წლის ტრაქტატი ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებდა ისე, როგორც ორ თავისუფალ სახელმწიფოს, გარდა ამისა ამ ომში საქართველო სრულიადაც არ ყოფილა თავის ნებით მონაწილე, იგი აიძულეს და ბრძოლის ველზე საომრათ გამოიყვანეს, აქედან ის გამომდინარეობს, რომ საქართველოს ომის არაფერი ეკითხებოდა და მაშასადამე მან არაფერი ხარჯი არ უნდა გაიღოს.

მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ დღესვე აღვადგენთ 1783 წლის ტრაქტატს.

ეს გარემოება ყოველ ჩვენგანს ეძახის თვითმოქმედებისკენ.

პოლიტიკური უფლებები, ეკონომიური უფლებები სანქაროთ უნდა მოგვენიჭოს.

ორგანიზაციული მუშაობა, ცოცხალ ძალთა მობილიზაცია დღეს აუცილებელ მოთხოვნილებათ წარმოდგა.

წავიდა ის დრო როდესაც სხვას შევყურებდით, სხვისი იმედი გვქონდა, დღეს საკუთარი ძალა, საკუთარი ჭკუა გვიხსნის.

ორგანიზაცია და თვითმოქმედება.

აი სრულიად ქართველი ხალხის აწინდელი ბუნებრივი საჭიროებ.

**ირ--დი.**

---

## ბოლშევიკების აჯანყება.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის მოწოდება.**

**ბანაკი.** ოქტ. 24. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსმა დუხონინმა, მისმა თანაშემწე ვირუბოვმა, უმაღლეს მთავარსარდლის დროებითმა კომისარმა კოვალევსკიმ და საერთო სალაშქრო კომიტეტის თავმჯდომარე პერეკრესტოვმა მოწოდებები დაუგზავნა ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალთ, რუმინეთის ფრონტის მთავარსარდლის თანაშემწეს, კავკასიის ფრონტის უმაღლეს მთავარსარდალს, სევასტოპოლის საზღვაო ძალთა მთავარსარდალს, პეტროგრადის, მინსკის, მოსკოვის, ირკუტსკის და დვინსკის სამხედრო ოლქების უფროსს, დონის ჯარის, ყუბანის, თეორგის, ურალის, ორენბურგის, ციმბირის, სემირეჩინის, ასტრახანის, ამურის და უსურიის ნაკაზით დაყენებულ ატამანებს, პეტროგრადის, მოსკოვის, კიევის ოდესის, ყაზანის, ხარკოვის, დონისროსტოვის, ირკუტსკის კომისრებს, სრულიად რუსეთის რკინის გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირთა ცენტრალ კომიტეტებს, მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალ კომიტეტს, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყველა კავშირებს, ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტთა აღმასრულებელ კომიტეტებს, რუმინეთის ფრონტის, შავი ზღვის ფლოტის და ოდესის სამხედრო ოლქის აღმასრულებელ კომიტეტებს, პირველ, მე-2, მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე, მე 6-, მე 7 ე, მე-8-ე, მე-9-ე, მე-10-ე, მე-11-ე, და მე-12-ე სალაშქრო კომიტეტების კომისრებს, კავკასიის საგანგებო ლაშქარს და სრულიად რუსეთის, ბალტიის და შავი ზღვის ფლოტთა ცენტრალ კომიტეტებს. მოწოდება შემდეგი შინაარსისაა: „ლაშქრისა და ფლოტის სახელით მოვითხოვთ, რომ ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ძალმომრეობითი მოქმედება, უარი განაცხადონ მთავრობის შეიარაღებულ ძალით ხელში ჩაგდებაზე და უყვლის უუაროდ დაემორჩილონ დროებით მთავრობას, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლიან რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანა. მომქმედი ლაშქარი ამ მოთხოვნილების ასრულებას იარაღით მოითხოვს.

**მოსკოვის მდგომარეობა.**

**მოსკოვი.** ოქტ. 27 მოსკოვში შემდგარ საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს. მოუწოდებს წესრიგის და სიმშვიდის დაცვას, მცხოვრებთათვის აუცილებელი იქნება მხოლოდ კომიტეტის განკარგულებანი· მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს ხსენებულ კომიტეტს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს იუნკრები იცავენ. რევოლუციურ კომიტეტში უთანხმოებაა. მენშევიკების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან კომიტეტის მოქმედებას და გამოსვლას აპირობენ. სამხედრო-სოციალისტური გაზეთები ბოლშევიკებმა იგდეს ხელში. გაზეთები აღარ გამოდის. ქუჩებში სიმშვიდეა.

**კიევის მდგომარეობა**

**კიევი.** ოქტომ. 26 პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო ქალაქის გამგეობამ სასწრაფო თათბირი იქონია. თათბირზე გადასწყვიტეს ქალაქის საბჭოსთან საგანგებო კომიტეტის შედგენა, რომლის მიზანიც იქნება ქალაქის დაცვა ექსცესებიდან და დროებით მთავრობის მხრის დაჭერა. ქალაქის გამგეობამ მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს,—მოუწოდებს სიმშვიდის დაცვას და სთხოვს ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს განკარგულებათა ასრულებას. კიევში მომხდარი სრულიად რუსეთის ფრონტის ყაზახთა ყრილობა მხარს უჭერს დროებით მთავრობას. ყრილობაზე შემუშავდა განსაკუთრებული ზომები პეტროგრადის მეციხოვნეთა უპასუხისმგებლო გამოსვლათა ჩასაქრობად. ყრილობა დაუნდობელ ომს უცხადებს ბოლშევიკებს და ანარქისტებს. ქალაქში სრული სიმშვიდეა.

**სამხრ. დასავლეთის ფრონტის ჯარი**

**კიევი.** ოქტომ. 26. კიევის სამხედრო ოლქის კომისარმა კირიენკომ პირდაპირის მავთულით ცნობა მიიღო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისარ იორდინსკისაგან. ფრონტის კომისარი ატყობინებს; სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარი მთლად დროებით მთავრობის მხარეზეა. მე-7ე მე-11-ე და სხვა ჯარების ... ნებს, კიევის სამხედრო მოხელეებს: ყველა ჩვენი ძალები მზად არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას და პირველ მოთხოვნილებისამებრ უწევენ დახმარებას საჭირო ჯარს მიაშველებენ. ასეთივე ცნობა მოვიდა რუმინეთის ფრონტიდან,

**ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტის ჯარი**

**კიევი.** ოქტომ. 26 კიევში ცნობები მოვიდა, ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტის ჯარი პეტროგრადისკენ მიდის მთავრობის მხრის დასაჭერადო. კერენსკი პეტროგრადისკენ მიმავალ ჯარს მეთაურობს.

**დონის მთავრობა ბოლშევიკების შესახებ.**

**კიევი.** ოქტომ. 26. სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარე ავდეევი პირდაპირის მავთულით შეეკითხა დონის სამხედრო მთავრობას, თუ რა აზრისაა მომხდარ ამბების გამო. სამხედრო მთავრობამ უპასუხა, რომ იგი არ ემორჩილება ახალ ანარქიულ მთავრობას. ლენინის დეპეშის გამო სამხედრო მთავრობას უპასუხნია, რომ იგი ახალ მთავრობას უზურპატორებად სთვლის და არ დაემორჩილება მას. ჯერ-ჯერობით სამხედრო მთავრობამ თავისი თავი დონის უმაღლეს მთავრობად გამოაცხადა და ყველა სამთავრობო დაწესებულებანი თავის განგების ქვეშ აიღო. სამხედრო მთავრობა იწვევს კერენსკის ახალ უმაღლეს მთავრობის მეთაურის დასანიშნავად.

**კერენსკის ახალი ბრძანება**

კავკასიის სამხედრო კომისარს შემდეგი ბრძანება მოუვიდა:

„პეტროგრადის სამხედრო ოლქს და ყველას უცხადებ, რომ დროებითი მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი რუსეთის რესპუბლიკის ერთგული ფრონტის ჯარებით გატჩინოში ჩამოვიდა. ვუბრძანებ პეტროგრადის სამხედრო ოლქის იმ ჯარებს, რომლებიც გაუგებრობის გამო, თუ შეცდომით მოემხრნენ სამშობლოსა და რევოლუციის მოღალატეთა ბრბოს, დაუყოვნებლივ დაბრუნდეს თავის მოვალეობის ასასრულებლად. ეს ბრძანება წაკითხულ უნდა იქნეს როტებში, ბატარეებში და ასეულებში".

მინისტრ-თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი **ა. კერენსკი**

---

## ქართული თუ რუსული უნივერსიტეტი?

როგორც ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული გვქონდა, დროებითმა მთავრობამ არა თუ საბოლოოდ გადასწყვიტა რუსული უნივერსიტეტის საქართველოს ცენტრში დამკვიდრება, არამედ პრაქტიკული ნაბიჯებიც კი გადასდგა გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად. ჩვენმა პრესამ უკვე აღნიშნა ეს და თვის აზრიც გამოსთქვა ამის შესახებ.

მთელმა ქართველმა საზოგადოებამ ისიც კარგად იცის, რომ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში მომავალი წლის იანვრიდან ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება.

ეხლა იბადება კითხვა. ყველასაგან აღიარებულ „ერთა თვითგამორკვევის" პრინციპის ბატონობისა და საკულტურო საგანმანათლებლო თუ საადმინისტრაციო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის დროს, რა მიზანი და რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ჩვენს დედა თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნას? სჩანს სრულებით აღრევია დროებით მთავრობას დავთარი და ლოღიკურ წინაამდეგობის სენს შეუპყრია იგი.

მავნე პიროვნებასა მოვლენას სწორედ იმიტომ ჰგლეჯენ ძირიანად, რომ ის მავნე იყო და შემდეგში აღარ განმეორდეს, ხოლო თუ ავადმყოფის მკურნავი, როგორიც დროებით მთავრობას ჰგონია თვისი თავი, თვითონ არ მოიშლის მავნე რეცეპტებით ავადმყოფ სახელმწიფოს. წამლობას, მაშინ რაღა განსხვავება ყოფილა ძველსა და ახალს შორის? აშკარაა, რომ გველს მხოლოდ კანი უცვლია. ასეთ შემთხვევებში ნუ გაუკვირდებათ რუსეთის რევოლუციის „მესვეურთ", თუ ხალხი ნდობას დაჰკარგავს მათ მიმართ. თუ არა ორჭოფობა და ორპირობა, მაშ რაღა უნდა იყოს დროებით მთავრობის წინადადება რომლითაც მან თბილისის ქალაქის თვითმართველობას მიმართა!

შეიძლება ეს „ამიერ-კავკასიისადმი" კეთილ-განწყობილების წინამორბედია? ან შეიძლება დროებითმა მთავრობამ „დიდი ხნის ნატვრის" ასრულება მოუნდომა საქართველოს, „ამარა ტანჯვა" და „კულტურ ის" სხივებით მოფენა მოუნდომა „უკულტურო" ქართველობას? შეიძლება, მაგრამ რამოდენიმე ფაქტი რომ ერთი მეორეს დაუპირდაპიროთ, ეს შესაძლებლობაც გაჰქრება ჩვენის აზრით.

აი საქმე რაშია. სმნამდი ოფიციალად გამოცხადდებოდა ქართული უნივერსიტეტის თბილისში იანვრისათვის გახსნა, თბილისის ქალაქის თვითმართველობამ სთხოვა სახალხო განათლების სამინისტროს, რათა დორპატის (იურიევის) საევაკუაციო უნივერსიტეტი თბილისში გადმოეტანათ. ამაზე მთავრობამ უარი განაცხადა. არ გაუვლია ერთ-ორკვირას და თბილისში შესდგა ქართული უნივერსიტეტის საორგანიზაციო კრება, სადაც საბოლოოდ გადასწყდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა.

მთელი ქართველობა აღფრთოვანებით შეეგება ამ ფაქტს და თანაგრძნობა ერის იყო არა მარტო სიტყვიერი, არამედ საქმითაც დამტკიცდა. 1918 მომავალი წლის იანვარში ჩვენ შევიქმნებით დიდებული ისტორიული ფაქტის მოწმენი.

**გაიხსნება, მიუხედავად მოხერხებულად გამზადებული დაბრკოლებისა ქართული უნივერსიტეტი.**

ეს ცნობა და ამ ფაქტის სიმტკიცე და უდრეკელობა მოხვდა „რევოლუციურ" დროებით მთავრობის ყურს. მან არც აცივა და არც აცხელა და დაუყონებლივ მიმართა თბილისის ქალაქის თვითმართველობას, რათა რუსული უნივერსიტეტისათვის ადგილიც მოენახათ ჩვენ თბილისში, ისიც გაეგოთ, თუ ვინ რამდენ ფულს გაიღებდა რუსული უნივერსიტეტისათვის და, ერთის სიტყვით, ყოველგვარი ცნობები შეეკრიბათ. ფაქტები ასეთი არის და დასკვნაც აქედან არც ისე ძნელი იქნება. რუსეთის **დროებითმა მთავრობამ ქართულ უნივერსიტეტს დაუპირდაპირა რუსული უნივერსიტეტი**, კონკურენციას უწევს მას. რათა, რისთვისო? იკითხავს გაკვირვებული ქართველი? იმისათვის, რომ „ახალი", „რევოლუციური" მთავრობაც „რუსეთის საზღვრებში" ისეთავე იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, როგორსაც რომანოვების რუსეთი ეწეოდა. სწორედ რომ იმპერიალისტურ პოლიტიკას და არა რევოლუციურ შემოქმედებას.

კერენსკის მიერ შედგენილმა მთავრობამ კარგად იცის, რომ დროიდან ქართული უნივერსიტეტის მოქმედებისა, ქართული ეროვნული სულის აღმაფრენა თვის უმაღლეს წერტილამდე მიაღწევდა და რომ კულტურულ ავტონომიას ტერიტორიულ ავტონომიაც ლოღიკურად მოჰყვებოდა. ამიტომ საჭიროდ დაინახა მან, ქართველობის ბუნებრივ მოთხოვნილებას შებრძოლებოდა. შებრძოლებოდა, რა თქმა უნდა, არა აშკარად არამედ ფარულად ლამაზ სიტყვებით. კერენსკის მთავრობამაც, დემოკრატიულს რომ უწოდებს თვის თავს, არჩია ეს გზა.

ჯერ კიდევ არ ვიცით, მიაღწევს მთავრობის ზრახვა მიზანს თუ არა, გაიხსნება თუ არა **საქართველოში რუსული** უნივერსიტეტი, ან კიდევაც რომ გაიხსნას, იხეირებს თუ არა **ჩვენში რუსული** უნივერსიტეტი?

ყოველ ამ კითხვათაგანზე მხოლოდ მაშინ შეიძლება პასუხი, როდესაც გამოირკვევა თბილისის ქალაქის საბჭოს პასუხი მთავრობის წინადადებაზე.

თბილისის ქალაქის თვითმართველობის პასუხი მეტად საყურადღებო უნდა იყოს, რადგან იგი გამოარკვევს, თუ რამდენად რევოლუციური, დემოკრატიული და დაბოლოს სოციალისტური არის ეს თვითმმართველობა. თითქმის 95% თვითმმართველობის შემადგენლობისა სოციალისტურია. როგორ მოიქცევიან ეს სოციალისტები? ქართველ დემოკრატიას რომ სომხთა, რუსთა და სხვა ეროვნებათა შვილისათვის არ მიეცა თვისი ხმა, მაშინ შეიძლებოდა პასუხი ამ კითხვაზე. ჯერჯერობით კი უმრავლესობა თბილისის ქალაქის საბჭოისა არა ქართველები არიან.

ახლო მომავალი სულ ყველაფერს თვალწინ გარდაგვიშლის. ბევრი თეთრი შავი აღმოჩნდა და ბევრი წითელიც კიდევ ყვითელი აღმოჩნდება.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ შეგვიძლია ნათლად ჩამოვაყალიბოთ. დროებით მთავრობამაც თავისი მოქმედებით გამოააშკარავა, რომ ის არა სცნობს საქართველოს, როგორც განუყოფელ ერთეულს, რომ მისთვის მხოლოდ ამიერ-კავკასია არსებობს თვისი ორიოდე გუბერნიით, რომელნიც „დიდი", „ძლიერი" რუსეთის პროვინციებს შეადგენენ. გამოაშკარავდა ისიც, რომ თუ დროებით მთავრობამ თვისი დადგენილება სისრულეში მოიყვანა და რუსული უნივერსიტეტი გაგვიხსნა, მაშინ დამფუძნებელი კრება მომხდარი ფაქტების წინაშე დადგება და ალბად დასტურსაც დასცემს დროებით მთავრობის ასეთ „კულტურულ-განმანათლებელ" მოღვაწეობას. ხუმრობა ხომ არ არის უნივერსიტეტის გახსნა სახელმწიფოს ერთ-ერთ „უკულტურო" პროვინციაში? პლიუსშიც ჩაუწერენ ამას განათლების მინისტრს სალაზკინს, არა თუ გააუქმებენ და წაშლიან მის მიერ არჩეულ გზას საქართველოს მიმართ დამფუძნებელ კრებაზე.

ასეთ რამეს გვიშვებიან ისეთს იოლსადა უწყინარ საქმეში, როგორიც არისს წავლა-განათლების ეროვნულ ენაზე მიღება. ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ, თუ რას დაგვაწევს რუსეთის მთავრობა, როგორი შემადგენლობისაც არ უნდა იყოს იგი, როდესაც ისეთი კითხვების გადაჭრა შეიქმნება აუცილებელი, როგორიც არის ფართედ დასმული ეროვნული კითხვა, ტერიტორიის კითხვა, ჩვენი მომავალი ავტონომიის უფლებამოსილება და სხვა. სჩანს, რომ უკრაინის, ფინეთის, პოლონეთის და სხვათა წინაშე უძლურს, სასომიხდილ მთავრობას, ქართველი ერის ზურგზე უნდა აინაზღაუროს დანაკლისი.

ეხლა იბადება კითხვა, თუ რა გზას უნდა დაადგეს ქართველი ერი უნივერსიტეტის კითხვაში, რომელ უნივერსიტეტს უნდა მივსცეთ ჩვენ უპირატესობა, რუსულს თუ ქართულს?

ერთი კი აშკარა უნდა იყოს. რუსიფიკაციას სამკვდრო—სასიცოცხლოდ უნდა შევებრძოლოთ. თუ ეხლა დავმარცხდით, დამარცხება იგი იქნება საუკუნო, ასწლობითი, რადგან ჩვენი ქართული კულტურა და რუსული კულტურა ეხლა შედიან სწორედ შეჯიბრების პროცესში.

ამდენ ხანს თუ უხეში ძალითა და უკულტურო გზით გვისპობდნენ არსებობას, ეხლა სურ სხვა გზა არის რჩეული. ფიზიკური ძალადობა მოგვსპობდა ნაწილობრივ, ხოლო ქართულ სულს, მასაში რომ არის ჩასახული, იგი ერთობ ცოტას თუ დააკლებდა. ქართველობა, როგორც ასეთი, დარჩებოდა და თვის ეროვნულ ფერსაც არ დაჰკარგავდა. ძველმა მთავრობამ დიდი შეცდომა ჩაიდინა რუსიფიკატორულ პროცესის წარმოებაში, როდესაც იგი ხელს უშლიდა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას. ეხლანდელი რევოლუციური მთავრობა კი, როგორც სჩანს, წინაპრის შეცდომების გასწორებას იწყებს.

რამდენად ამოუვა ეს დროებით მთავრობას ხელში, ეს სავსებით დამოკიდე-

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

### აღმოსავლეთის ფრონტი.

(გაზეთებიდან)

**რუსის ჯარის ძალმომრეობა ესტონიეთში**

ესტონეთის საერობო საბჭოს თავმჯდომარემ პეტროგრადში დეპეშა გამოგზავნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრონტის ჯარი მცხოვრებლებისადმი ძალმომრეობას იჩენს. ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, სახლებსა და ხორბლით სავსე ბეღლებსა სწვავენ, სრულიად უსარგებლოდ მიჰყავთ და ხოცავენ საქონელს. რეველისა და გაპსალის მაზრებში ორიოდე დღეში რუსის ჯარს მრავალი მემამულისა და გლეხების ეზო-კარი სულ ერთიანად გაუნადგურებიათ. ასეთივე ამბები ხდება ესტონეთის სხვა კუთხეებში. ხალხი ისეც შეწუხებულია სასტიკი საყოველთაო რეკვიზიციით, რომლითაც ჯარი ბიუროტად სარგებლობს.

**მოკავშირეთა გამარჯვება**

თბილისში ცნობები მოვიდა მოკავშირეთა გამარჯვების შესახებ. ფლანდრიაში ინგლისელებს აუღიათ ქალაქი პაშონდელი, პალესტინაში—ქალაქი გაზა და მესოპოტამიაში ქალაქი თეკრიტი.

**ბოლშევიკური სული იტალიელ ჯარში**

ოქტომბრის 15 ის თარიღით იტალეთის მთავარი ბანაკი ოფიციალურად იუწყება: (ეს ცნობა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს არ გადმოუცია). მე-2-ე ლაშქრის ზოგიერთა ნაწილი უგვანო შიშმა დასძლია და ზოგმა თუ უკან დაიხია, ზოგი მტერს ჩაუარდა ხელში. მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მტერს და ამით შეაძლებინეს იულიუსის ფრონტზე მარცხენა ფრონტის გამორღვევა. სხვებმა, თუმცა დიდი სიმხნეც გამოიჩინეს, მაგრამ მტერმა მაინც შესძლო ჩვენი სამშობლოს წმიდა მიწაზე ფეხის შემოდგმა.

**გერმანეთის იტალეთში გამარჯვების შესახებ**

იულის ალპებში ავსტრია-გერმანელთა ჯარის გამარჯვებამ მთელი გერმანეთი აღაფრთოვანა. ამ გამარჯვებას, გერმანელთა პოლიტიკურ წრეების აზრით, მარტო სტრატეგიული გამარჯვება არ ეწოდება. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ცენტრალ სახელმწიფოთათვის, კერძოდ კი გერმანეთისათვის. ამ გამარჯვებით, როგორც გერმანული გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანელები კვლავ ჰპოვებენ რწმენას ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკაში. გერმანელ საზოგადოებას ეს რწმენა თითქოს შეერყა. და ამ შერყეულ რწმენის განმტკაცება-აღდგენა თავის-თავად ისეთი ფაქტია, რომელსაც დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს. ამასთან ეს გამარჯვება ჩაითვლება პოლიტიკურ დემონსტრაციად. მოკავშირეთათვის, რომელთაც ეგონათ, რომ ცენტრალ სახელმწიფოებმა მთლად ამოსწურეს თავიანთი სამხედრო ძალა—და მთელი მათი ჯარი დნსავლეთის და აღმოსავლეთის ფრონტს უნდება. ამ ფრონტებიდან კი ჩვენ დივიზიები მოვხსენით და იზონცოსკენ გავგზავნეთ. ახლად მოსულ დივიზიებთან ერთად ამ ფრონტზე ოსმალთა რაზმებიც ომობენ.

გერმანული გაზეთები იმდენად გაუტაცნია იტალეთში გამარჯვებას, რომ უკვე ნათლად აცხადებენ დასახულ მიზნებს. ერთი მიზანთაგანი კი „ვერაგ მოკავშირე“ს (იტალეთის) მოკავშირეთაგან გამორიცხვაა. გაზეთები კვეხნით აღნიშნავენ, რომ გერმანეთი ყოველ წლივ თითო მოკავშირეს აკლებს და მოკავშირეთ და ეხლა ჯერი იტალეთზე მიდგა. „თუ ბელგეთის, სერბეთის და რუმინეთის დაპყრობის შემდეგ ოთხთა შეთანხმების სტრატეგიული მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, იტალეთის დამარცხებას დიდი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება. იტალეთი უკვე მომწიფდა სეპარატიულ ზავისთვის.

## უკანასკნელი დეპეშები.

ქალაქის საბჭოს შენობასთან, სადაც რევოლუციის დახსნის კომიტეტი იმყოფება ფრონტიდან მოსული ჯარი მოდის და დროებით მთავრობისადმი ერთგულებას აცხადებს

—

ხმები დადის, რომ კაბინეტს საკინკოვი შეადგენს და სამხედრო მინისტრად გენერალი ალექსიევი დაინიშნება.

—

მოსკოვში ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს სამხედრო ოლქის უფროსი და თანხმდებიან გაანთავისუფლონ კრემლი,-რომელიც ბოლშევიკების ხელშია.

—

თფილისში მოსული ცნობებით ერთფეროვანი კაბინეთის შედგენა მინდობილი აქვს მოსკოვის ქალაქის თავს რუდნევს.

—

ბოლშევიკებმა მთავრობა ვერ შეადგინეს. ლენინს, ზინოვიევის, ტროცკისა და ლუნაჩარსკის მეტი მინისტრობას არავინ სთანხმდება. ვერხოვსკიმ უარი სთქვა. ბოლშევიკები დაიბნენ.

—

რევოლუციის დაცვის კომიტეტი, რომელშიაც საბჭოების ყველა პოლიტიკურ პარტიების და ფრონტის წარმომადგენლებიც შედიან, ახალი მთავრობის შესაქმნელად ქ. ლუგაში გადავიდა. კომიტეტში ბოლშევიკები არ შედიან. პეტროგრადის მეციხოვნე ჯარი კომიტეტს ემორჩილება, კომიტეტი პეტროგრადისაკენ მიმავალ ეშელონებს ქალაქში არ შეუშვებს. ახალ მთავრობაში მხოლოდ დემოკრატიის წარმომადგენლები შევლენ.

—

პეტროგრადის მეციხოვნე ჯარმა უწესრიგობა დაიწყო. დაარბიეს ზამთრის სასახლე და მისი ღვინის საწყობი. ქალთა ბატალიონზე ძალა იხმარეს, ქუჩაში შემზარავი სურათებია.

—

მოსკოვის ქალაქის თავმა, რუდნევმა, მოსკოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ო. ს. მინორს პირდაპირი მავთულით შემდეგი შეატყობინა: „აქ ყველა მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ბოლშევიკების დღეები დათვლილია. ესენი ყველასაგან გათიშულნი არიან, ჩამოვიდა სასურსათო მინისტრი, სხვა მინისტრები პეტრეპავლეს ციხეში არიან კვლავ. კერენსკი ავტომობილით წავიდა ფრონტზე, სადაც უმრავლესობა ბოლშევიკების წინააღმდეგია. ვერხოვსკი არა სჩანს სად იმყოფება. ჯარში ერთიანი მტკიცე სულიერი განწყობილება არ არის. ბოლშევიკების წინანდებური იმედები აღარ აქვთ. მოსკოვის ოლქის ჯარების უფროსი ჩვენს მხარეზეა. ბოლშევიკების დამარცხება სულ ადვილად შეგვიძლია, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით არ გვინდა, რომ ერთი თოფი მაინც გავარდეს. იმედია, ამბოხებას უსისხლოდ ჩავაქრობთ. მოსკოვის ტელეგრაფი საფოსტო კავშირის ხელშია.

—

უკვე პსკოვში მოსულმა მე-12 არმიამ ულტიმატუმი წარუდგინა პეტროგრადის მეამბოხეთ: თუ დროებით მთავრობას არ დაემორჩილებით, იარაღით დაგიპყრებთო.

—

მე-12 არმიის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის რეზოლუციაში აღნიშნა, დავიღუპებით და რევოლუციის შერცხვენას და დაღუპვას ვერ მოვითმენთო.

—

დონის ყაზახთა მთავრობის თავმჯდომარემ კალედინმა დროებით მთავრობას შეატყობინა, რომ დონის ყაზახთა ბოლშევიკების გამოსვლას მოღალატეობად სთვლის და ამიტომ მზადაა სხვა ყაზახებთან ერთად დაეხმაროს კოალიციურ დროებითი მთავრობა სახელმწიფოს მმართველობას, კვლავ სათავეში ჩაუდგება ყაზახთა მმართველობა დონის ოლქში თავი უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ აცხადებს.

---

ბული არის იმაზე, თუ რამდენად ლოიალური იქმნებიან რუსეთში მოსახლე ერები. რევოლუციის დროს დიდი კითხვები რევოლუციურის გზით სწყდება ყოველთვის. უკრაინამ, ფინეთმა, ბელორუსეთმა და მრავალმა სხვამ ეს შეიგნო და თვალსაჩინო ნაყოფიც გამოიღო. ხოლო ჩვენისთანა ბეჩავებმა მეტის მეტი ქართული ზრდილობიანობით, თავგანწირვით და, როგორც სომხები ირწმუნებიან, პოლიტიკით, თითქნის იმავე წერტილზედ გავიყინეთ, რომელზედაც რევოლუციამ მოგვისწრო.

გადამეტებულმა ლოიალობამ ბევრი დაგვაკარგვია და დრო არის მას ბოლო მოუღოთ.

ქართველმა ერმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაიჭედოს ტვინში, რომ თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნა საბედისწერო იქნება მისთვის, მან უნდა უკანასკნელად და მტკიცედ შეიგნოს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნას, იქნება იგი ქართული თუ რუსული, უმთავრესად ქართველობისათვის აქვს მნიშვნელობა. დაინტერესებული ყველაზე უფრო ჩვენ ნდა ვიყოთ და ვართ კიდეც.

ქართველობა თბილისს შეჰყურებს, როგორც თვის არსებობის ფუძეს. თბილისია ჩვენი ტვინი, ჩვენი გული და ჩვენი სულიც. თბილისთან ჩვენ ჩვენი კულტურა, მთა წმინდა, ილია, აკაკი, მამაპაპათა უხვად დაღვრილი სისხლი და ქართული სული გვაერთებს. ამიტომ რუსული უნივერსიტეტისათვის ქართულის წინაშე უპირატესობის მინიჭება ეს იქნებოდა თანაბარი თბილისზე უარის თქმისა.

რკინის ხიშტზე საშიშარი წვრილ ერთა ასიმილაციისათვის ყოველთვის იყო და იქნება ჩიშტი კულტურული. რუსული უნივერსიტეტი სწორედ ამ ხიშტის როლს შეასრულებს ჩვენში. იგი საფრთხეს განუმზადებს ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას, ჩვენი მეცნიერების აყვავებასა და მის სხვათა მეცნიერებთან თანასწორად ზრდა-განვითარებას. თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნით, სრულებით ეკარგება მნიშვნელობა სკოლების გაქართულებას ჩვენს მიწა-წყალზე

მაშ რა გზას უნდა მივმართოთ რომ ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ?

არის აქ დროებით მთავრობის ფილიალი განყოფილება ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი, არის აგრეთვე მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოები, არის ქალაქის თვითმმართველობანი, არის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები, არის სხვა მრავალი ქართული კულტურულ,—განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელთაც ხმის ამოღება ჰმართებთ ამ კითხვის შესახებ. თუ ისინი დემოკრატიულ პრინციპს არა ქაღალდზე, არა მიტინგებზე მარტო, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ, მათ ყოველგვარის საშვალებებით უნდა ეცადნენ, რათა დემოკრატიული პრინციპების ერთი მუხლთაგანი-სწავლა-განათლების სამშობლო ენაზე მიღება ძველებურად ჩაწიხლული და სამინისტროს ლურჯ მაუდ ქვეშ ამოფარებული არ დარჩეს.

საინტერესოა აგრეთვე გავიგოთ, თუ რას ფიქრობს, ან რას აკეთებს ამის შესახებ ჩვენი ინტერპარტიული ეროვნული ბიურო? გაჩუმება ამ შემთხვევაში დიდი დანაშაული იქნება.

და თუ დაბოლოს ჩვენი ოფიციალი თუ არა აფიციალი დაწესებულებანი გაჩუმდებიან, მაშინ მივმართავთ ჩვენ იმ ეროვნულ ინსტიკტს და შეგნებას, რომელსაც ჩვენი ახალი თაობა ასე ნაზად ალოლიავებს თვისი გულის სიღრმეში. თუ თბილისში ორი უნივერსიტეტი, რუსული და ქართული, ერთი მეორეს შეეჯიბრებიან ჩვენმა აბიტურიენტებმა იმ გზას უნდა მიმართონ, რა გზასაც ძველი რეჟიმის დროსაც კი, პოლონეთის სტუდენტობა და მთელი საზოგადოება დაადგა.

პოლონელებმა დაივიწყეს ყოველგვარი პირადი ინტერესები ეროვნული იდეის გამარჯვებისათვის, მათ უარი განაცხადეს, ჩინ-ორდენებზეც, კარიერაზედ და მთლად დაედევნ პოლონეთის ბედნიერებას. ისინი წავიდნენ ლვოვში, კრაკოვში, სადაც კერძო პოლონური უნივერსიტეტები არსებობდა, წავიდნენ უცხოეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალეთში, მტრულად განწყობილ გერმანეთშიც კი, და იქ იძენდენ უმაღლეს განათლებას. ისინი დარწმუნდნენ, რომ რუსული კულტურა გაცილებით უფრო საშიშია მათი ეროვნული სხეულისათვის, ვინემ ფრანგული, იტალიური, გერმანული თუ სხვა. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს რუსულ უნივერსიტეტებს ვარშავში.

აი ის უტყუარი გზა, რომელიც საბოლოოდ განამტკიცებდა ჩვენი, ქართული უნივერსიტეტის არსებობასაც.

თუ ქართველი ახალგაზრდობა არ შეავსებს რუსული უნივერსიტეტის აუდიტორიებს თბილისში, კონტიგენტი მსმენელებისა ათიოდე კაცით, ისიც რუსსომხობით, თუ განისაზღვრება.

დრო ბევრი აღარ დარჩა. იანვარს 2-3 თვე ღა გვაშორებს. ქართული უნივერსიტეტის გამარჯვებაც სავსებით დამოკიდებული არის ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის შორსმჭვრეტელობაზე და მათ ეროვნულ თვითშეგნებაზე.

**ქართველი აპიტურიენტი მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტში უნდა შევიდეს.**

ინ—ხანი.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

**ბოლშევიკების დამარცხება.** გუშინ, გუბერნიის კომისარს გრიგოლ გიორგაძეს თფილისიდან შეატყობინეს, პირდაპირი მავთულით რომ ბოლშევიკების დამარცხების შესახებ შემდეგი გადმოსცეს.

„პეტროგრადის მთელი მიდამოები დროებითი მთავრობის ჯარის ხელში იმყოფება, მოსკოვში ბრძოლაა. ქალაქის ცენტრი დროებითი მთავრობისა ხელშია. რკინის გზის სადგური და ქალაქის განაპირა ადგილები ჯერ ბოლშევიკების ხელშია. ბოლშევიკებს წინადადება მისცეს, რომ მორჩილება გამოაცხადონ და იარაღი დაჰყარონ“.

✦ **ეროვნულ დემოკრატიული** პარტიის საგუბერნიო კონფერენცია უკვე დასრულდა. გუბერნიის კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ი. ი. ოცხელი. კომიტეტის წევრებათ კი: გ. ქურული, ვ. წერეთელი, მ. შ ვარდნაძე, ტ. ჯაფარიძე ალ. თორაძე, ი. პურადაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი და კ. ლომთაძე.

✦ **გრ. ლაღიძის დაჭრა** კვირას, 26 ოქტომბერს საზოგადო საკრებულოში ჩხუბის დროს, ლომინაძეს რევოლვერი გაუვარდა რომელიც შემთხვევით მოხვდა გრ. ლაღიძეს და ფეხში დაჰჭრა. ლაღიძე საავათმყოფოში მოათავსეს.

✦ **მილიციის შესახებ.** დროებით მთავრობის განკარგულებით ყოველ სოფელში ოცმა კაცმა უნდა აირჩიოს ერთი მილიციონერი, რომელსაც მიეცემა იარაღი.

✦ **რკინის გზის ცენზორების შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს რკინის გზის კომიტეტის თავმჯდომარე კუპრაშვილი ატყობინებს, რომ დღევანდელი ცენზორები, რომელნიც დანიშნულნი არიან რკინის გზის სადგურებზე აკრძალული საქონლის გაზიდვის თვალყურის სადევნელად ვერ ასრულებენ წესიერად თავის მოვალეობას და სთხოვს რომ ამ თანამდებობაზე არჩეულ იქმნენ ხალხის ნდობით აღჭურვილი და შრომის მოყვარე პირები.

✦ **ჩამორთმეული ფართლეულობა.** ქალაქის სახალხო მილიციის უფროსი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის კომისარს დაუთმოს ჩამორთმეული ფართლეულობის ნაწილი მილიციონერების შესამოსად.

✦ **თეატრი.** დღეს ქალაქის თეატრში ნ. ჩხეიძის მონაწილეობით მეოთხეჯერ იქმნება წარმოდგენილი ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“.

✦ **დამფუძნებელ კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ზესტაფონის სამაზრო კომისია სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო კომისარს, რომ გაუგზავნოს საკმაო თანხა რეგისტრაციის მოსახდენათ.

✦ **სურსათი.** ნოვოჩერკასკის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ ჭიათურის რაიონისათვის გამოგზავნილია 4 ვაგონი სათესლე პურის ხორბალი, ქუთაისისათვის 5 ვაგონი პურის ფქვილი, ოჩემჩირესათვის 2 ვაგონი ფქვილი და გუდაუთისათვის 1 ვაგონი.

✦ **ქ. ფოთის სასურსათო კომიტეტი.** სთხოვს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ ავადმყოფობის საჭიროებისათვის გაუგზავნოს მას 10 ვაგონი ბრინჯი და თეთრი პურის ფქვილი რამდენიც შესაძლებელი იქნება.

✦ **სასურსათო კომიტეტში.** ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი სთხოვს მაზრის კომისარს შეატყობინოს: 1) რამდენი ფუთი სიმინდი დაურიგდა ქუთაისის მაზრის გლეხობას 1916 წელში; 2) როგორი ხარისხის იყო მიღებული სიმინდი; 3) რამოდენი ვაგონი იყო მოტანილი ზღვით და რამდენი რკინის გზით და 4) რა ფასში მიეცათ გლეხებს სიმინდი.

✦ **მეეტლეების შესახებ.** ქალაქის მილიციის უფროსმა განკარგულება გამოსცა მეეტლეთა საყურადღებოთ, რომ იქონიონ თან ნიხრი, მგზავრებს დაწესებულ ფასებზე მეტი არ გაადახდევინონ და ეტლში მთვრალები არ ჩასხან.

✦ **ამომრჩეველთა რიცხვი.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ოზურგეთის მაზრის კომისია ქუთაისის საგუბერნიო კომისიას ატყობინებს, რომ ოზურგეთის მაზრაში დამფუძნებელი კრების არჩევნებში 45,000 ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას.

✦ **ფოთი.** ამომრჩეველთა რიცხვი ქალაქში ჯარის კაცებიანა ყოფილა 4,465.

### მოწაფეთა მანიფესტაცია ეროვნულ-დემოკრატიული კონფერენციის გამო.

შაბათს, 28 ოქტომბერს გაიხსნა ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კონფერენცია. ამ კონფერენციის წევრები ქალაქის საზოგადო საკრებულოში დამშვიდებულათ მორიგ საკითხებზე ბჭობდენ, როცა ფანჯრებიდან შემოიჭრა მქუხარე მუსიკის ხმა, ამ ხმას თან მოჰყვა დელეგატი რომელიც მანიფესტანტებიდან იყო გამოგზავნილი, და რომელიც კონფერენციის წევრებს თხოვდა. ამათ გულში ვერ დაეტიათ მამულიშვილური გრძნობა, და მათი საზღვარ გადალახული გრძნობა თანაგრძნობას თხოულობდა. მეორე სართულის აივანზე გადმოდგენ კონფერენციის წევრები. სურათი გრძნობიერი და პატრიოტული ფერადებით მოხატული იყო. ქართველი მწყობრი ახალგაზრდობა, მუსიკა დროშა და წინ ჩოხა ახალოხში გამოწყობილი მეთაური. შე-ჩერ-დით! გაისმა ხმა მეთაურისა—მა-ა-რ-ჯვნი თ! მოჰყვა მას. ახალგაზრდობა გაჩერებულია. ეს შეუჩვეველი სიტყვები ბევრს ეხამუშებოდა; ყველა დაწყნარებულია. აივანზე კონფერენციის წევრები და ქუჩაში მათი პატივისმცემლები. ამხანაგებო—დასჭექა ერთ-ერთმა მოწაფეთაგანმა ამბროსი პირველმა, და მოჰყვა პატრიოტული სიტყვა. ის მოწაფეების სახელით მისალმა კონფერენციას და ნაყოფიანი მუშაობა უსურვა. სიტყვის დასასრულს დაიგრიალა მუსიკამ, და შემდეგ კონფერენციის სახელით მანიფესტანტებს მგრძნობიარე სიტყვით მიმართა კარგად ცნობილმა ია ეკალაძემ. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ არ მაქვს იმდენი ცრემლები რომ ჩავრეცხო თქვენში ძველი რეჟიმის მიერ დატოვებული შხამი. მან მოუწოდა ახალგაზრდობას მისდიეთ ილიას მცნებებს და გაბედული შრომით აღადგინეთ საქართველოს მთლიანობაო. მის სიტყვას მოყვა ტაშის ცემა და მუსიკის ხმა. შემდეგ ილაპარაკა სტ. ილარიონ ჟღენტმა, მან ახალგაზრდობის პატარა გრძნობიარე სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი სიტყვით მიმართა. მორიგი მუსიკის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ბიკენტი აბესაძემ, მან სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ მოწოდებით მიმართა, იმედი იქონიეთ მხოლოთ თქვენი თავისა. შემდეგ ილაპარაკობს ლადო მაჭავარიანი. ამით სიტყვების გათავება განზრახული იყო. „ბ. ვასილ, გთხოვთ“ — გაისმა ხმა მანიფესტანტებისა. ვასილ წერეთელმაც მიმართა მოკლე სიტყვით. რომელიც განუსაზღვრელი აპლოდისმენტებით და მუსიკის ხმით იქნა დაგვირგვინებული. მის შემდეგ სიტყვა ნ. ლორთქიფანიძემ წარმოსთქვა. სიტყვის გათავებისას მანიფესტანტების გუნდმა შეასრულა სიმღერა „თამ რის დროშა გაშალეს“, რომლის დროს ყველამ ქუდი მოიხადა გაისმა ხმა გას-წორ-დით! მარცხნით! და მანიფესტანტები მუსიკის ხმით დაიძრენ. კონფერენციის წევრებმა და მაყურებელმა საზოგადოებამ მანიფესტანტები ტაშის-ცემით გაისტუმრეს.

მანიფესტანტებმა ბაღის გვერდით ჩაიარეს და დაიშალენ.

მაყურებელი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## რბევა.

**ეფრემოვის მაზრაში,** ტულის გუბერნიაში 19 კაცის ქონება არი დარბეული რბევა კვლავაც გრძელდება.

— **ლუკოინოვსკის მაზრაში,** ნიჟეგოროდის გუბერნიაში 3 ოქტომბრიდან ყოველ დღე და ღამე ხდება დარბევები. სწვავენ მემამულების ჯინიბებს. შეიარაღებული გლეხები იტაცებენ მემამულეების ქონებებს.

— **არდატოვსკის მაზრაში** ნიჟეგოროდის გუბერნიაში დარბეულია სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრის, კიშკინის ქონება.

— **ჟიტომირში** გლეხებმა მოჰკლეს თავადი სანგუშკო საცხოვრებელი მოიტაცეს.

**შეთქმულება მილიუკოვის წინააღმდეგ.** მოსკოვის მილიციის უფროსმა ივანო-

ვმა საზმროთო სასახლიდან განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ იყოს მიღებული ზომები მილიუკოვზე შეთქმულების საწინააღმდეგოთ.

ივანოვმა მორიგ ინსპექტორს გადასცა მილიუკოვის თავდასხმა. გაგზავნილია მილიციონერები რომლებიც დაბანაკდენ მილიუკოვის სახლთან. მილიუკოვის წინააღმდეგ შეთქმულება გამოაშკარავა საზამთრო სასახლეში დროებით მთავრობის ერთმა წევრმა. ღამით მილიუკოვის სახლთან ვილაც ბოროტ განზრახულები შეამჩნიეს, რომლებიც მილიციელების დანახვაზე გაიქცენ. ცნობებია, რომ მთავარ სადგომს თავის წარმომადგენელი ყავს შეთქმულების „კამპანიაში."

# მოწერილი ამბები.

## ს ვ ა ნ ე თ ი.

ჩვენი მხარე, როგორც ყოველთვის იწერება ხოლმე გაზეთის ფურცლებზედ, ძალიან ჩამორჩენილია და მოკლებულიც ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას. ალარასფერი აქ არ არსებობს არც კოოპერაცია, არც სხვა რამ ისეთი, რომ სვანებს ცოტათ თუ ბევრად შეუმსუბუქოს გაჭირვება—ის კი არა პირიქით, ყველა მათ სჩაგრავს და ლუკმას აცლის პირიდან. კანონს, როგორც ამბობენ „მურის" ხიდს აქეთ არ გამოუშვებენ, რადგან თუ სვანმა ყოველივე კარგად შეიგნო, მაშინ თვითონ ხომ გარიყავენ და ამისათვის სიფრთხილით ექცევიან, რომ არ გაუცურდეთ ბატონობა და ნანატრი „მეფობა" აქაურ მოსამსახურეებს (მილიციას) ეს მეხუთე თვე არის ჯამაგირი არ მიუღია—არ უგზავნიან „ცაგერლები" იმისთვის, რომ მონა მორჩილად ვერ გაიხდიან სვანებს. ამისთვის მთელი მილიცია ფეხზედ არის, შიმშილ-წყურვილი აწუხებთ, რას სჭამონ თვითონ, ან ცხენებს რა აჭამონ. არც სხვა საქმეებზედ სწუხდებიან ეს ფუფუნებას მიჩვეული ვაჟბატონები. თუ ვინმემ ხმა ამოიღო მათს წინააღმდეგ და სიმართლე სთქვა, იმას კონტრ[რ]ევოლუციონერად ნათლავენ, იჭერენ, ან აძევებენ, რომ ხალხმა ყოველივე არ გაიგოს სიმართლით. ჩვენ მისთვის ვიბრძოდით და გვიხაროდა ძველი წესწყობილების დანგრევა, რომ ველოდით რამე გვეშველებოდა, მაგრამ, იმისა არ იყოს, უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, სწორედ ასევე გვემართება და არ ვიცით, როგორ დავიხსნათ თავი ცაგერელ ბობოლებიდანთა. ვისუფლების მოყვარული ხალხი ვერ ვიტანთ ამდენს უსამართლობას და იძულებული ვხდებით ჩვენ თვით უპატრონოთ ჩვენს თავს; ან გამოყოფით მაზრიდან ან და სხვა რამეთი. ამისთანა დრო დაგვიდგა და ეხლა რომ ასეთი უსამართლობა იქმნეს, ეს უპატიებლია და უმჯობესი იქმნებოდა, თავის პირად წარმატებისა და ინტერესებისათვის თავი დაგვენებებია და ხალხს გაჭირვებულს და დაბეჩავებულს გავსძღოლოდეთ წინ პირნათლად და ერთგულად.

**უმადური.**

# სალამური და სკრიპკა.

(თარგმანი)

ვინ გამოიგონა სკრიპკა? ვინ გამოიგონა სალამური?..

ეს მოხდა ნაადრევ გაზაფხულზე. ნათელი დღე იყო მხიარულად გალობდენ ჩიტები ვანგის ტყეების ხშირ ბუჩქნარში. მიდუდუნებდა ანკარა მდინარე.

მშვენიერ ლაკმეს უყვარდა ბედნიერი გაიანტი.

გაიანტი იჯდა ლერწმის ახლო, უთავბოლოდ თლიდა ლერწამსა და ტკბილ ოცნებით სავსე შეყურებდა ლაკმეს, რომელიც გლეჯდა ყვავილებს და მღეროდა.

,,,ბედნიერი იყო ლაკმე და არ იცოდა რაზე მღეროდა.

მეტყველებდა ზღაპრული ტყე, სიმღერებითა და სიცოცხლით სავსე.

შეყურებდა გაიანტი საყვარელ ქალწულს და განაგრძობდა თლას. თლიდა ლერწამს, გადისროლიდა, გლეჯდა ახალს და ისევ თლიდა.

შემდეგ მიიდგა ტუჩებზე განწმენ და ჩაბერა.

ლერწამმა წყნარად დაუსტვინა.

ანაზდათ ცელქმა აზრმა გაურბინა თავში...ჩაიცინა, წაიღო ლერწამი და ბუჩქნარში ჩაჯდა.

სანამ ლაკმე განაგრძობდა სიმღერას, მდინარის პირას გაიანტი ნელის ხმით ბაძავდა მას. ჯერ სტვენა დიდი გაჭირვებით ამოდიოდა, მოუხეშავი იყო, მაგრამ მალე ყმაწვილი ისე დახელოვნდა, რომ სიმღერას დიამგვანა. მაშინ უფრო გულადათ და ხმა მაღლა გაიმეორა შეუვნებელი სიმღერა ლაკმესი.

გაიანტი!—უცებ დაუძახა ქალწულმა,-ვინ მბაძავს

არ ვიცი—მიუგო გაიანტიმ და ბუჩქნარიდან გამოვიდა

,მაგრამ ლაკმემ როგორც კი შეხედა მის ხელში ლერწამს, იმ წამსვე მიხვდა.

შე ეშმაკო, ისევ რაღაც მოიგონე. ისე ხომ ვერ მოისვენებ!

გაიანტიმ არ მიატოვა თავისი განზრახვა. ისე ბევრს ვარჯიშობდა და ბაძავდა ხან ერთსა და ხან მეორეს, რომ თვითონაც მიეჩვია დაკვრას დასაკრავიც გააუმჯობესა

იყო მეორე ყმაწვილი—ნალ, მუდამ მოწყენილი რომელსაც ლაკმე უყვარდა. მწუხარეთ, უიმედოთ შესცქეროდა იგი მას და მისი სახის ფერი ისე მართალი იყო, როგორც ჩამავალი მთვარე.

ლაკმემ იცოდა მისი სიყვარული, მაგრამ იგი ბედნიერი იყო და მას ყურადღებას არ აქცევდა. ამბობდნენ, ეს ყმაწვილი ჰკუას გადამცდარი იყო: მარტო დადიოდა ტყეში, ხეებზე ცხვრის წელებს აფენდა, აშრობდა და წნავდა. ფიქრობდენ, რომ ისიც რაღაც დასაკრავს ამზადებდა

... და აი, ერთხელ გაიანტი და ლაკმე ისხდენ სხვა ყმაწვილებთან ერთად ტჩეში ხეების ქვეშ. იმღეროდენ და მხიარულებდენ ყმაწვილები და მათი სიცილი ისე ისმოდა, როგორც ანკარა მდინარის დუდუნი.

იქვე იჯდა მოხუცი მგოსანი ხალდუნი; თავის მოთხრობით ამხიარულებდა ახალგაზდობას და თვითონაც სიამოვნობდა, როცა ესმოდა მათი უდარდელი სიცილი.

იყო ნალ მოშორებით ბალახში მწუხარე და მოწყენილი შესცქეროდა დანარჩენ ყმაწვილებს.

გაიანტი,-სთქვა მგოსანმა ხალდუნმა,-დაუკარი რამე, აგერ ნალ, ამბობენ ესეც უკრავს. დაუკარით და ვიმხიარულოდ. აბა, გიცდით!

დაუკარით, დაუკარით,-მიაძახეს აქეთიქიდან·

დაუკარით და ვინც გაიმარჯვებს ლაკმეს სიყვარულის ღირსი გახდეს,-იხუმრა ერთმა ყმაწვილმა.

ყველამ გაიცინა. გაიღიმა ლაკმემ. გაეხარდა რომ გაინტის შეძლება მიეცა გამოეჩინა თავის ხელოვნება, გაიღიმა დაცინვით გაიანტიმაც, გადახედა ნალიოს, რომელიც გაქვავებულივით იდგა თავისი სასაცილო დასაკრავით იღლიის ქვეშ იმის დასამტკიცებლად, რომ იგი სრულიად არ ღელავს, გაიანტიმ განაცხადა: პირველად მე უკრავო.

ყველამ შეხედა ლაკმეს გაბრწყინვებულ სახეს და ოცნებას მიეცა.

გაიღიმა ნშვენიერმა გაიანტიმ.

გაიღიმა ლაკმემაც და მის დაშვებულ შავ ლაწვებზე დაეკიდა ძნელად შესამჩნევი ღიმილი.

...გაიანტიმ მიიდო სალამური ტუჩზევარდის ფოთლებზე და დაიწყო...

გაისმა ხმები და გაიბნა როგორც ნიავი მდუმარე მიდამოში. გაისმა ხშირი სტვენა და ხმა ხმაზე ვარდებოდა, როგორც კრიალოსნის ქვები. კრისტალივით წმინდა იყო ეს სტვენა და ვერცხლივით ხმიანი, ხშირი, გასაკვირი, მოალერსე, მომჯადოებელი რახმების სხვა და სხვაობა იყო! რა მშვენიერი!,, თითქო ბულბულნი და ტოროლები ერთმანეთს უხმობდენ ბედნიერ ქვეყანაში.

და რა დიდებული იყო შეჯიბრება ორი ბედნიერი მომღერალისა, რომელნიც თითქო დაფრთხიალობდენ თამაშში ყვავილთა შორის, როცა საყვარელი და მოყვარული ქალწული მხიარულობდა ბედნიერ თავდავიწყებაში.

'''და ისმოდა სტვენა ჩქარი, უკანასკნელი ხმა. შეწყობით გაანცვიფრა მსმენელები, აფრინდა ზევით ისარივით და ... გათავდა.

ყოჩაღ, ყოჩაღ გაიანტი! -აღფრთოვანებული იყო ყველა.

ყოჩაღ გაიანტი!-სთქვა ლაკმემ და ალერსიანათ გადახედა გაყვითლებულ ლამაზ ყმაწვილს.

რა დიდებული ხმები იყო,—სთქვა გატაცებით ვილაცამ.

გმ... **ხელოვნური დაკვრაა,—**ჩაილაპარაკა მგოსანმა ხალდუნმა·

ნალ სტუმდა... გაშეშებული, როგორც უსულო და შავი ქანდაკება ღამისა. წარბებ შეკრული, დაფარულ ღელვით თვალებში ავათმყოფი თავის საიდუმლო ხელოვნებით დასცქეროდა იგი ძირს.

დაკვრის ჯერი მასზე მიდგა

მაშ, ახლა ნალ დაუკრავს,-ბრძანა მგოსანმა ხალდუნმა.

და სანამ ნალ ამზადებდა, ჩურჩული გაისმა ახალგაზრდათა შორის საკვირველ საკრავის დანახვაზე.

გაიანტიმაც გაიღიმა და ბოროტი იყო ეს ღიმილი, მხოლოდ ლაკმე გაჩუმებული ყო. როცა შეხედა ნალიოს თვალებში,-იგრძნო, რომ ამ ყმაწვილში იფარებოდა მწუხარე და ტანჯული სული და გამოურკვეველი შიში შეეპარა გულში.

შეხედა მოხუცმა მგოსანმა და წყნარად გაიქნია თავი.

მან კი, ამ საიდუმლო ნალიოსმა უცაბედათ მოუხედა; სახე გადაუსხვაფერდა. გაყვითლდა. ყველა მიწყნარდა.

...და მან საკრავით მუხლებში, თვით მასზე დაღუნული, როგორც მიწაზე დახრილი მტირალი ფიჭვი, უცებ გაუსვა თავის გამხდარი, ძარღვიანი ხელით სიმებზე და... დაიწყო...

საოცარი ხმა ამოიკვნესა ამ საკრავმა, თითქო ხმა მოწყენილ,მწუხარე ადამიანისა. როგორც ადამიანი, რომელსაც გულზე აწევს და რომელსაც ძლივს იკავებს ქვითინს, ისე ეს დაყრუებული ხმაჭნელნელა კანკალებდა და თანდათან ივსებოდა, ნაკრდებოდა, იზრდებოდა.., აი, სევდიანი ხმით რაღაც იკითხა, მაგრამ იმ წამსვე, ქვითინი შეკავებული შეჩერდა და მიწყნარდა. შემდეგ, მის პასუხად, მეორე ხმამ, უფრო მაგარმა და ძლიერმა, დაიწყო მოყოლა და გაცოცხლება რაღაც მწუხარე ისტორიისა, ისეთი მწუხარებით, თითქო ის იყო მოთხრობა მთელ დატანჯულ კაცობრიობაზე. მან იწყო ისე მწარეთ-მწარეთ ქვითინი, რომ ააჭსო ხეების ტოტები სევდით, დაამწუხრა ვარდ-ყვავილები, გაფართოვდა ჰორიზონტამდის დაუსრულებელი ნაღველი უდაბნოისა და მთელი დედამიწა შექმნა მწუხარე ჯავრის მიდამოდ. მკაცრი იყო ეს სიმღერა, როგორც სიკვდილი და მიუდგომელი, როგორც კაცის გულში დამალული გული.

ის გამოდიოდა გულიდან,-აი რისთვის სე გაიტაცა ყველა· მართალი იყო ეს სიმღერა

და აი რისთვის ყველას სევდით ქონდა ჩაქინდრული თავი და ფიქრობდა იმ დიდ ტანჯვაზე, რომლის შესახებაც იცის ყველამ, რომ იგი არსებობს, რომ ის მართალია, არის ყველგან და ყველასთვის.

გაგრძელდა სიმღერა, გაცხოველდა და როგორც უიმედო ნაპირებიდან უდაბნოისა, როგორც საფლავიდან ამოვამკრთალი მთვარე და მიანათებს უდაბნოს თავის მკვდარი სახით ისე ანაზდათ აღმოცენდა სევდიანი ხმა მეოთხე სიმისა და იწყო სიმღერა ნელა, სავსე ხმათ და შემძლეთ. როცა ჩაერია მესამე სიმიც, გაიმა ისეთი მოთქმა, თითქო ეს უსიცოცხლო უდაბნო აავსეს ხმელ ეკლებმა, თითქო მოხუცის ხელებით ჰაერში აწვდილი შეწყალებას თხოვდა... მაგრამ მოწყალება არ იყო...

ანაზდათ, სიმღერა გაღრმავდა, გადავიდა წვრილ სიმაზე, დაიწყო ოხვრა თითქო დაჰბერა ცხელ ქარმა და გააბნია ის ეკლები, რომელნიც იხდიდენ მეჯლისს გიჟურ თამაშში. ხანდახან ისმოდა ისეთი კვნესა და მოთქმა, გეგონებოდათ იქედ დაკარგული სიმარტოვე იჯდა ქვიშაზედ და იგლეჯდა თავზე ჭაღარა თმებს.

ასე მღეროდენ სიმები და შემდეგ მობილებული დაწყნარდენ, მოშორდენ და მწუხარე სევდით დაღალულ-გაჩერდენ: თითქო ისევ საფლავში ჩავიდენ...

არც ღიმილი, არც სიცილი. მსმენელნი გაშეშდენ. ყველამ, შენაძრწუნებამ ამ დაკვრით შეხედა გაინტისა და ლაკმეს.

აი დაკვრა!

დაუშვა ძირს თავისს სალამური გაიანტიმ და შიშით მიაპყრო თავის ეჭვიანი თვალები ლაკმეს.

დაღონდა ლაკმე. მაგრამ ეს ნაღველი ჰაეროვან ღრუბელს გავდა,რომელიც ჩნდება და ფარავს მშვენიერ მაისის ცას. მის თვალებში გამოიხატა შიში, მიაპყრო თავის მოელვარე თვალები გაიანტის და გაკვირვებულივით უთხრა:

წავიდეთ შინ გაიანტი!

ახალგაზდობამ გადახედა ლაკმეს და ვერ გაიგეს მისი მოუსვენრობა. და სანამ ყველა გაუგებრათ შესცქეროდა მას, ის ადგა და გაიანტთან ერად წავიდა.

როცა ისინი მოცილდენ ცოტაზე, მან ჩაუჩურჩულა:

მე შენ მიყვარხარ, გაიანტი,-ის ისეთია მოწყენილია... მაშინებს თავის საკრავით. მისი დაკვრა ველივით შეძვრა ჩემს გულში და იქ დაიხვია. წავიდეთ, დაუკარი შენს სალამურზე და გამამხიარულე!

ის წავიდა და დარჩა ნალ, როგორც საფლავის ქვა, გაცრილი თვალებით მიმავალი უფსკრული და მასთან ერთად მშვენიერი ლაკმე და მოროტოლარი ხელი მოეჭირა თავის საკრავს.

დარჩნენ მსმენელნი და მოხუცი მგოსანი ხალდუნი.

ყოჩაღ ნალ!—ისეთი ხმით უთხრეს მას, თითქო ანუგეშებდენ მიცვალებულის ნათესავს.

დანაღვლიანდა ნალ და ჩაღუნა თავი. უცებ ასწია თავის საკრავი: უნდოდა დაეკრა ქვაზე და დეემსხვრია, მაგრამ მხოლოდ ჰაერში გაიქნია, დადო ძირს, მიიფარა სახეზე ხელები და გაჩუმდა.

შეხედა მას მოხუცმა მგოსანმა, გაიღიმა ალერსიანი თვალებით, გაიქნია ნელა ჭაღარა თავი და უთხრა.

რისთვის ვინდა დაანტვრიო საკრავი, რომელიც შენთან ერთად დაიბადა და შენთან ერთად უნდა მოკვდეს? ნალ, შენ იმ ხალხს ეკუთვნი, რომელნიც ქვეყნათ დიდი ტანჯვისთვის მოდიან და შენი დაკვრა იყო სიმღერა იმ დიდებულ მხატვრისა, რომლის აღმაფრთოვანებელი იყო სიკვდილი და ქმნის დროს ტიროდა. მან უკვე გაიღო ყველა სიხარულისა და მწუხარების კარები და შიგ შეიხედა. ნალ, ჭეშმარიტი ხელოვნება შენ გეკუთვნის და არ არის ისეთი საკითხი, რომელიც კიდევ გამოსაგონებელი იყოს. რაა სალამური შენ საკრავთან-სმენის მოსახლენი და მეტი არაფერი...

წადი! ამიერიდან შენ გეკუთვნის გიჟური ქროლვა ქარისა, ქარიშხალის ცეკვა მეჯლისის დროს, სასოწარკვეთილების მოთქმა და უზენაესი ღვთიური გრძნობა... წადი, ცხოვრებაში უბედურო, და ხელოვნებაში ბედნიერო, ნალ! წადი, აქარე გვირგვინი უძვირფასესი სხვა გვირგვინთა შორის და მონებმა და ბრძანებლებმა ქვეყნისა დახარონ თავი შენს ხელოვნების წინ!

**წადი და... იტანჯე!** დიად, ლაკმეს უყვარს მაგრამ ადამიანისთვის საჭიროა უძვირფასესი-ცხოვრებ და მისი სიხარული. მას არ უყვარხარ შენ, ან და რისთვის შეუძლია უყვარდე? შენ დალუპავ ამ პეპლას ცხოვრებას შენის გამოთქმულ ტანჯვით, მოასმენ ყოველთვის შემოდგომის მოთქმასა და სიკვდილის ხმას... და განა შენ შეგიძლია გიყვარდეს ის, სევდიანი სული, რადგან ვინც შეიყვარა შენი ხელოვნება, არ უნდა შეიყვაროს სხვა, ან და ძირს, ან შეიძლებს სხვის სიყვარულს?

არა, წადი! იცხოვრე მარტო ვალ! **ყველა დიდებული ნაწარმოები დაწყებული იყო მარტობაში და სიმარტოვეს ქაოსიდან წარმოშვა ქვეყანაზე.** და განა მარტოობაში ღმერთმა, მხატვარმა მხატვართა, არ შექმნა უდიდესი თავის პოემებიდან-ეს ქვეყანა?..

. . . . . . . . .

მას შემდეგ გაიანტიმ კიდევ უფრო ბედნიერად იწყო სტვენა სალამურზე, ნალ კი წავიდა ქვითინით შესაქმნელათ ტანჯვის მოდუმულ ქვეყანაში.

იმ დღიდან, ამბობენ, სალამური სტვენს როგორც სიყვარულით ბედნიერი ყმაწვილი, სკრიპკა კი ყოველთვის ხატავს თავის ხმებში გამოთქმულ სევდას.

**შალვა ლეკვიშვილი.**

# ქალაქის თეატრი.

კვირას, 29 ოქტომბერს განმეორებულ იქნა 3 მოქმედებიანი დრამა ვ. გ-ისა „ავერიძის ოჯახი" (დანგრეული კერა). თუ დრამატიული საზოგადოება ჩვენ სულიერ საზრდოზე ზრუნავს, ჩვენთვის გაუგებარია, რათ სდგამენ სცენაზე მეორეთ ისეთს პიესას, რომელიც ხალხს არაფერს ასწავლის. ეს პიესა არც ისე უმგვანო და უშინარსო არის, როგორც მას საზოგადოება შეხვდა. დაცალიერებული ლოჟები, წინა რიგებში აკეცილი სავარძლები და აივანის უკანა რიგების სიცარიელე, რა თქმა უნდა, მსახიობს სცენაზე თამაშობის უნარს უკარგავს. მიუხედავათ ამისა, პიესა შესრულებული მაინც მწყობრათ იყო, განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენდენ მგრძნობიერნი მოთამაშენი: ნ. ჩხეიძე თამარის როლში, ა. ყალაბეგიშვილი მიხეილ ივერიძის როლში. ამ საღამოს კარგი იყო მ. გელოვანი გიგო სარიძის როლში-მაგრამ კიდევ უკეთესი იყო ის ამავე გიგოს როლში როცა პირველად დასდგეს ეს პიესა. თუმცა როლი მისი შინაარსის მიხედვით არც ისე სასაცილო და ნამსხვრეული იყო, მაგრამ მიახლოვებით თამაშით "დასი ჩვენი ბატონობს" ზედმეტი გამეორებით ხალხს საკმაოდ აცინებდა. მხიარული იყო ა. ლოლუა ნინოს როლში. გრძელ მოქმედებიანი პიესა ვერც ისეართობდა საზოგადოებას, მით და მიგ მოწყენილი სცენების გამო. საზოგადოება ძილის პირზე მიდიოდა. ამას კიდევ შეურიგდებოდა მსმენელების ერთი ნაწილი, საზოგადოებას მეორე ნაწილს უმართებულ მოქცევით დეფექტები რომ არ შეეტანა წარმოდგენის დროს. უხეში სიტყვების პირიდან ამოსროლა-უდროოდროს უშნო სიცილი-არტისტებისთვის ხელის შეშლა-პარტერში პაპიროსების წევა-ჯოხებითა და თავდახურული დარბაზში ჯდომა, აი რით ხასიათდებოდა ერთი ნაწილი საზოგადოებისა. არც დრამატიული საზოგადოების წარმომადგენლის ხვეწნამ არც, პრესის წარმომადგენლების მუდარამ მათზე არ გასჭრა—უფრო მოუმატეს კიდეც, შემდეგ გააჩაღეს ფიზიკური ჩხუბი და სიტყვიერი აყალ-მაყალი. პარტერიდან ამ უზრდელობაში მონაწილეობას ის ყმაწვილები იღებდენ—რომლებსაც თეატრში შესასვლელი ბილეთი თავის დღეში არ აუღიათ და პირველ რიგშია ფართეთ გაშლილი და თუ იქ ადგილი არ იქნა ორკესტრიდან უერთებს ხმას წესიერების უხეშ დამრღვევთ.

დროა კულტუროსნობა დაგვეტყოს—უცხო დამსწრე საზოგადოება არ შევაშინოთ—დროა ზნეობის ნასახი მაინც მოიპოვონ წესიერების დამრღვევმა და თუ ამას ვერ შესძლებენ, უმჯობესი იქნება თეატრში სიარულს დროებით მაინც შესწყვეტდენ.

**ბაჭუა.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

**პატივცემულო ბ. რედაქტორო!**

ჩემს სამადლობელ წერილში (იხ. „ჩვენი ქვეყანა" № 162) შეპარულა შეცდომები: 1) მეთორმეტე სტრიქონში ქვევიდან პორუჩიკი „დვალაძე", უნდა იყოს „დვანაძე". 2) შენიშვნაში სწერია: „დ. მ. ხ—ვამ წინათ ერთხელ 25 მან. გადმომცა", უნდა იყოს „52 მან". და არა 25 მან. 3) მეორე შენიშვნაში სწერია: „გეპრელმა'' უნდა იყოს ,,გეპნერმა''.

გულით პატივ მცემელი თქვენი

**კ. ოდიშარია.**

30 ქ. ქუთაისი.

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

# ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში უსხმს „606" და „914") დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელიძის სახლი, ქუთაისში